

შპს „სოფმარ“




ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ქ. ფოთი
2018 წელი

შინაარსი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
6. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები.



SOFMAR MARITIME AGENCY

30/39 9TH APRIL STR. , 4400 POTI , GEORGIA

TEL: +995 (493) 220265/66

FAX: +995 (493) 220267

E-MAIL: sofmar@sofmar.ge



MEMBER OF
BIMCO



MEMBER OF
FONASBA

www.sofmar.ge

№

03.09.2019

C230A

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სოფმარი“-ს (შემდგომში „საწარმო“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ჭმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად.

პატივისცემით

დირექტორი

ვ. ალანია

№ 58

03.09.2019

C230A

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სოფმარი“-ს (შემდგომში „საწარმო“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად.



დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

შპს „სოფმარი“-ს

დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სოფმარ“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან. ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სოფმარ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „სოფმარ“-ისაგან იმ ეთიკურ ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც წარმოდგენილია საქმიანობის მიმოხილვის სახით და შედგება აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლებისაგან. საქმიანობის მიმოხილვა არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში გვევალება ამ ფაქტის

ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩნია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

სხვა გარემოებები

შპს „სოფმარ“-ის 2017 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგება არის აუდიტირებული შპს „სუპერ-აუდიტ“-ის მიერ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „სოფმარ“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლების დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ მოიქცეს.

აუდიტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტიკებულებებს, რომელიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტორითვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „სოფმარ“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვი პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზნშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „სოფმარ“-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომ მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „სოფმარ“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
პასუხისმგებელ პირს, სხვასთან ერთად ინფორმაციას გაწვდით აუდიტის დაგეგმილი მამულებისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორი
ნ. ლამანდია

22.09.2019

სუპერ-აუდიტი SUPER-AUDIT

აუდიტორული ფირმა

AUDITING FIRM



- შევისწავლით აუდიტორითვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „სოფმარი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
 - ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვე პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვეო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზენშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „სოფმარ“-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომ მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „სოფმარი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- პასუხისმგებელ პირს, სხვასთან ერთად ინფორმაციას გაწვდით აუდიტის დაგეგმილი მაშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორი
ნ. ლამანდია

22.09.2019



სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	4	15 328 050	30 824 762
სხვა შემოსავლები	5	580 376	709 925
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(77 738)	159 298
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენა		(2 047 494)	(3 232 062)
დასაქმებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(1 436 588)	(2 001 592)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(575 359)	(538 273)
შემენილი მომსახურების ხარჯი	6	(12 397 132)	(21 510 414)
საგადასახადო ხარჯი		(42 756)	(34 870)
საკურსო სხვაობის ხარჯი		(392 194)	(704 769)
სხვა ხარჯი	7	(47 702)	(97 025)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		1 108 538	3 574 981
ფინანსური ხარჯი	8	(27 281)	(27 647)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(1 135 819)	3 547 334
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(1 135 819)	3 547 334
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში		9 029 790	7 260 598
სარეზერვო ფონდის შემცირება		-	-
წლის განმავლობაში გადახადილი დივიდენდი		(1 134 999)	(1 778 142)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	9	6 758 972	9 029 790

დირექტორი

ვახტანგ ალანია

მთ. ბუღალტერი

ლუდმილა ყამარაული

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანაგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	15 328 050	30 824 762
სხვა შემოსავლები	580 376	709 925
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	(77 738)	159 298
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენა	(2 047 494)	(3 232 062)
დასაქმებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი	(1 436 588)	(2 001 592)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(575 359)	(538 273)
შემძენილი მომსახურების ხარჯი	(12 397 132)	(21 510 414)
საგადასახადო ხარჯი	(42 756)	(34 870)
საკუთრო სხვაობის ხარჯი	(392 194)	(704 769)
სხვა ხარჯი	(47 702)	(97 025)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	<u>1 108 538</u>	<u>3 574 981</u>
ფინანსური ხარჯი	(27 281)	(27 647)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე	<u>(1 135 819)</u>	<u>3 547 334</u>
მოგების გადასახადი	-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	<u>(1 135 819)</u>	<u>3 547 334</u>
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში	9 029 790	7 260 598
სარეზერვო ფონდის შექმნილება	(1 134 999)	(1 778 142)
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	<u>6 758 972</u>	<u>9 029 790</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



(Handwritten signature)

ვახტანგ ალანია

ლუდმილა ყამარაული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	10	1 802 039	2 975 579
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	570 524	1 508 097
საგადასახადო მოთხოვნები	12	360 298	311 677
მარაგი	13	752 768	830 506
სულ მიმდინარე აქტივები		<u>3 485 629</u>	<u>5 625 859</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	14	4 004 923	3 922 147
ბიოლოგიური აქტივები		<u>200</u>	<u>200</u>
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>4 005 123</u>	<u>3 922 347</u>
სულ აქტივები		<u>7 490 752</u>	<u>9 548 206</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		19 038	8 131
გადასახდელი პროცენტი		353 288	134 269
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>357 474</u>	<u>374 037</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>729 800</u>	<u>516 436</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		<u>-</u>	<u>-</u>
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>-</u>	<u>-</u>
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 980	1 980
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	9	<u>6 758 972</u>	<u>9 029 790</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>6 760 952</u>	<u>9 031 770</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>7 490 752</u>	<u>9 548 206</u>

დირექტორი

ვახტანგ ალანია

მთ. ბუღალტერი

ლუდმილა ყამარაული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
31.12.2018 31.12.2017

აქტივები				
მიმდინარე აქტივები			2 975 579	
ფულადი სახსრები	10	1 802 039	1 508 097	
საეკურო და სხვა მოთხოვნები	11	570 524	311 677	
საგადასახადო მოთხოვნები	12	360 298	830 506	
მარაგი	13	752 768		
სულ მიმდინარე აქტივები		<u>3 485 629</u>	<u>5 625 859</u>	
გრძელვადიანი აქტივები			3 922 147	
ძირითადი საშუალებები	14	4 004 923	200	
ბიოლოგიური აქტივები		200		
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>4 005 123</u>	<u>3 922 347</u>	
სულ აქტივები		<u>7 490 752</u>	<u>9 548 206</u>	
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები			8 131	
საეკურო და სხვა ვალდებულებები		19 038	134 269	
გადასახდელი პროცენტი		353 288		
საგადასახადო ვალდებულებები				
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>357 474</u>	<u>374 037</u>	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>729 800</u>	<u>516 436</u>	
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი			1 980	
საწესდებო კაპიტალი		1 980		
გაუნაწილებელი მოგება - ზარალი	15	<u>6 758 972</u>	<u>9 029 790</u>	
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>6 760 952</u>	<u>9 031 770</u>	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>7 490 752</u>	<u>9 548 206</u>	



დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ვახტანგ ალანია

ლუდმილა ყამარაული

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	16 043 357	30 895 187
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(14 219 928)	(25 740 806)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1 198 754)	(1 681 745)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	624 675	3 472 636
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(50 000)
გადახდილი გადასახადები	(173 989)	(447 873)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	450 686	2 974 764
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(566 271)	(1 038 777)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(566 271)	(1 038 777)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(1 077 585)	(1 689 235)
სესხის მიღება	500 000	1 000 000
სესხის დაფარვა	(280 981)	(865 731)
სესხის პროცენტის დაფარვა	(27 281)	-
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(172 108)	(66 332)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 057 955)	(1 621 298)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	(1 173 540)	314 689
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	2 975 579	2 660 890
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1 802 039	2 975 579

დირექტორი

ვახტანგ ალანია

მთ. ბუღალტერი

ლუდმილა ყამარაული

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ანგარიშსითი (გაგრძელება)

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	16 043 357	30 895 187
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(14 219 928)	(25 740 806)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1 198 754)	(1 681 745)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	624 675	3 472 636
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(50 000)
გადახდილი გადასახადები	(173 989)	(447 873)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>450 686</u>	<u>2 974 764</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(566 271)	(1 038 777)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(566 271)</u>	<u>(1 038 777)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(1 077 585)	(1 689 235)
სესხის მიღება	500 000	1 000 000
სესხის დაფარვა	(280 981)	(865 731)
სესხის პროცენტის დაფარვა	(27 281)	-
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(172 108)	(66 332)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(1 057 955)</u>	<u>(1 621 298)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	<u>(1 173 540)</u>	<u>314 689</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>2 975 579</u>	<u>2 660 890</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>1 802 039</u>	<u>2 975 579</u>



ვახტანგ ალანია
 ლუდმილა ყამარაული

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სოფმარ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 1996 წლის 26 სექტემბრის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერია 215080463; იურიდიული მისამართი: საქართველო ქ. ფოთი აღმაშენებლის 30.39 და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. ფოთი 9 აპრილის ხეივანი 30.39

საწარმოს მფლობელი ნატალია ალანია არის ერთი ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს წილის 100%-ს, საწარმოს საწესდებო კაპიტალის შევსებული აქვს და მას კაპიტალის შევსების ვალდებულება არ აკისრია.

შპს „სოფმარ“ (შემდგომში საწარმო) საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ეწევა საზღვაო – სახმელეთო ტვირთის გადაზიდვას და ტრანსპორტთან დაკავშირებულ მომსახურებას. იგი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა: შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება ახორციელებს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია (მსს ფასს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ასევე შემდეგ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით:

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ;
- საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ.

შპს „სოფმარ“ ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად იყენებს საქართველოში მოქმედ ეროვნულ ვალუტას „ლარს“. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი დაყვანილია „ლარამდე“

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ძალაში შედის 2018 წლის 15 იანვრიდან და ცვლის მანამდე მოქმედ სააღრიცხვო პოლიტიკას, ის მოქმედებს მუდმივად საზოგადოების ფუნქციონირების შემდგომ პერიოდში, იგი შეიძლება შეიცვალოს მსს ფასს-ში შესული ცვლილების გათვალისწინებით საწარმოს დირექციის მიერ. საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების დირექტორი, იგი ქმნის საბუღალტრო აღრიცხვის სწორად წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების დროულად წარდგენის პირობებს, შესაბამისად ღებულობს სათანადო გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფს აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული შესაბამისი მოვალეობების დროულად აღსრულებას, საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის ძირითად დაშვებებს.

ზოგადი დებულებები

- ბუღალტრული აღრიცხვის ქვეშ იგულისხმება საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების იდენტიფიკაციის, შეფასების, აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესი. რომლის მიერ წარმოებული ფინანსური ინფორმაცია, მომხმარებლებს აძლევს საშუალებას მიიღონ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებები.
- ბუღალტრული აღრიცხვის პროცესის შედეგად ფორმირდება სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

- საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოიყოფა სამი ძირითადი მიმართულება: ფინანსური აღრიცხვა, მენეჯერული აღრიცხვა და საგადასახადო აღრიცხვა;
- ფინანსური აღრიცხვის მიზანია ფინანსური ანგარიშების შედგენა, რომელიც ძირითადად განკუთვნილია მომხმარებლებისათვის, მათ შორის: დამფუძნებლები, ინვესტორები, კრედიტორები და ფართო საზოგადოება, ასევე საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტი.
- მენეჯერული აღრიცხვის შედეგად ფორმირდება სპეციალური ინფორმაცია საწარმოს უმაღლესი, ასევე სხვადასხვა დონის მენეჯერებისათვის, რომელსაც ისინი იყენებენ მართვის პროცესში დაგეგმვის შეფასებისა და კონტროლისათვის, ადეკვატური გადაწყვეტილებების მისაღებად.
- საგადასახადო აღრიცხვის შედეგად ფორმირდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად.

2. აღრიცხვის სისტემის აღწერა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნით - საწარმომ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება უნდა აწარმოოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ნატურალურ საზომ ერთეულებზე დაყრდნობით, განზოგადებულად, ფულად გამოსახულებაში, მათი ქრონოლოგიური, განუწყვეტელი და დოკუმენტური ასახვით. უზრუნველყოფს მის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისრულეს და შიდა კონტროლს.

საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები შეიძლება შედგენილ იქნეს როგორც ერთ, ისე რამდენიმე ეგზემპლარად. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებია:

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები - მათ შორის:

- შიდა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი – სუბიექტის შიდა ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე,
- გარე პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი – მეორე მხარისგან მიღებული დოკუმენტი ან სუბიექტის მიერ მეორე მხარისთვის წარდგენილი დოკუმენტის ორიგინალი;
- მაგროვებელი დოკუმენტები (სააღრიცხვო რეგისტრი, ჟურნალი და სხვა დოკუმენტი).

ეკონომიკური მოვლენები ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება ორმაგი ჩაწერის პრინციპის შესაბამისად. ეკონომიკური მოვლენა ბუღალტრულ აღრიცხვაში მოხდენისთანავე აისახება. იგი ასევე აისახება იმ პერიოდის შესაბამის მაგროვებელ დოკუმენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც მიეკუთვნება აღნიშნული მოვლენა.

ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერს (ბუღალტრულ გატარებას) აქვს შემდეგი რეკვიზიტები:

- ა) ოპერაციის თარიღი;
- ბ) სადებეტო და საკრედიტო ანგარიშები, შესაბამისი თანხების მითითებით;
- გ) ოპერაციის მოკლე აღწერა;
- დ) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის/მაგროვებელი დოკუმენტის დასახელება და ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ე) ოპერაციის თანხობრივი მონაცემი.

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი არის ეკონომიკური მოვლენის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც, საჭიროებისამებრ, ერთ ან რამდენიმე იდენტურ ეგზემპლარად დგება და რომელსაც, აქვს

შემდეგი რეკვიზიტები:

- ა) დოკუმენტის დასახელება და ნომერი;
- ბ) დოკუმენტის შედგენის თარიღი;
- გ) ოპერაციის ეკონომიკური შინაარსი;
- დ) ოპერაციაში მონაწილე პირის/პირების დასახელება/დასახელებები;
- ე) ოპერაციაში მონაწილე პირის/პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები და მისამართი/მისამართები (საქონლის/მომსახურების მიწოდების ან სხვა აუცილებელ შემთხვევაში);
- ვ) ოპერაციის განხორციელების დამადასტურებელი ხელმოწერები;
- ზ) ოპერაციის თანხობრივი და რაოდენობრივი მონაცემები.

საწარმო უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის როგორც:

- ფორმის (დოკუმენტის სისრულე, გაფორმების სისწორე, რეკვიზიტების არსებობა და სხვა), ისე,
- შინაარსის (ეკონომიკური მოვლენის კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური და არითმეტიკული სიზუსტე და სხვა) მიხედვით სწორად შედგენის კონტროლს.
- ფორმის ან შინაარსის მიხედვით არასწორად შედგენილი დოკუმენტი დოკუმენტის შედგენისათვის პასუხისმგებელ პირს უბრუნდება.

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია ქრონოლოგიურად და სისტემატიზებულად, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ზოგადი პრინციპების დაცვით აისახება მაგროვებელ დოკუმენტებში.

ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად ხელს აწერს (აწერენ) სუბიექტის ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირი, ბუღალტერი ან სუბიექტის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირები.

დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების დროული და ხარისხიანი შედგენისათვის პასუხს აგებენ ამ დოკუმენტების შემდგენი და მათზე ხელის მომწერი პირები. როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით არსებული ფინანსური ანგარიშგებები და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები საწარმოში ინახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში.

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

საწარმოში მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი არსებითად არაა განსხვავებული იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც საწარმოს გამოყენებული ჰქონდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

3.1 ამონაგების აღიარება

საწარმო საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. მესამე მხარის სახელით მიღებული თანხები, როგორცაა მაგ. დამატებითი ღირებულების გადასახადი, არ მიეკუთვნება ამონაგებს.

3.2 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისაგან. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადებისთანავე მოგება ან ზარალში.

3.3 უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების თარიღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულად მუხლებს წარადგენს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საწარმო არ ფლობს უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ინვესტიციას. შესაბამისად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.4 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება შემდეგი ხელით არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისაგან და ბანკში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

3.5 მარაგი

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა აღიარდება უკუგატარების პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირებად.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	3-5%
მანქანა-დანადგარები	10-20%
საოფისე აღჭურვილობა	10-20%
ავეჯიდა მოწყობილობები	10-20%
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
სხვა ძირითადი საშუალებები	10-15%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევის

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო საზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

როდესაც მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს და აღდება გაუფასურების ზარალი, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ისე, რომ გაუფასურების ზარალის კომპენსირების შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას (ამორტიზაციისა და ცვეთის გამოკლებით), რომელიც მიღებული იქნებოდა, წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

3.9 მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ რომელიმე სხვა რამ არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

3.10 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც: რეალური ღირებულების შეფასებული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით; დაფარვის ვადამდე ფლობილი; გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; სესხები და მოთხოვნები;

3.11 ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია მიღებული სესხების, სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.12 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებასა და ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

3.13 დივიდენდი

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

როდესაც საწარმო დივიდენდებს გასცემს კაპიტალის წილის მფლობელებზე, მას ევალება დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან. გადასახადის თანხა, რომელიც გადაიხდება ან ექვემდებარება გადახდას სა-გადასახადო ორგანოებისათვის, აისახება საწარმოს საკუთარი კაპიტალში, როგორც დივიდენდების ნაწილი.

3.14 ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ამონაგები

(ლარი)		
	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1 შემოსავალი კონტინერების გადაზიდვებიდან	9 439 864	7 188 681
2 შემოსავალი აგენტობებიდან	686 071	1 720 342
3 შემოსავალი ექსპედიტორებიდან	5 083 646	21 836 515
4 შემოსავალი მანქანების გადაზიდვებიდან	13 576	12 940
5 შემოსავალი ელ. დიაგნოსტიკა-ტერმინალიდან	23 246	59 618
6 შემოსავალი იჯარიდან	1 862	1 017
7 შემოსავალი რეალიზაციიდან	79 785	2 515
8 შემოსავალი შენახვიდან		2 571
9 სხვა შემოსავალი		564
ამონაგები მიწოდებიდან	15 328 050	30 824 762

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ) გარეშე.

5. სხვა შემოსავლები

	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1 საკურსო სხვაობის შემოსავალი	340 170	674 015
2 საპროცენტო შემოსავალი	26 785	1 499
3 შემოსავალი დაზღვევის ანაზღაურებით	213 421	34 411
4 სხვა შემოსავალი	-	118 871
ჯამი:	580 376	709 925

6. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	რეკლამის ხარჯი	23,439	19,899
2	საიჯარო ქირა	27,000	27,000
3	სატვირთო ავტომანქანის იჯარა	101,134	94,798
4	მსუბუქი ავტომანქანის იჯარა	1,227	1,525
5	ავტომანქანის იჯარა	3,000	3,000
6	ტელეფონის ხარჯი	15,528	22,490
7	ასლებისა და თარგმანების ხარჯი	440	372
8	ელ. მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება	2,397	1,650
9	ელ ენერგიის ხარჯი	15,148	21,114
10	ინტერნეტის ხარჯი	4,093	4,816
11	წყლის ხარჯი	5,329	778
12	გადაგზავნის ხარჯი	8,879	12,757
13	დაცვის მომსახურება	2,034	2,034
14	საშვის ღ-ბა	2,162	2,009
15	ექსპედიტორთა და გადამზიდავთა პასუხისმგებლობის დაზღვევა		
16	მანქანის დაზღვევა	144,839	149,273
17	ავტომანქანის მომსახურების ხარჯი	10,097	14,915
19	სანოტარო ხარჯი	475	71
20	აუდიტის ხარჯი	25,424	
21	საწევრო ხარჯი	15,790	15,908
22	რეესტრში ცვლილებების შეტანის ხარჯი	50	0
23	პროგრამა ორისის განახლების ხარჯი		756
24	ბანკის მომსახურების ხარჯი	22,256	19,777
25	გზით სარგებლობის მომსახურების ხარჯი	183,679	137,661
26	ავტომანქანების გადაზიდვის ხარჯი	7,708	1,730
27	სააგენტო ხარჯი	600,108	1,531,225
28	საექსპედიტორო ხარჯი	90,435	390,232
29	წარმომადგენლობითი ხარჯი		201
30	112-ის ხარჯი	92	92
31	პროფილაქტიკური შემოწმების ხარჯი		2,005
32	ავტომობილის თრექტერის მომსახურება	8,653	23
33	საკონტინენტო ხარჯები ინ.მეწარმე მძღოლები	1,386,955	4,757,236
34	საკონტინენტო ხარჯები შენახვის და გადატვირთვის	6,032,423	4,647,732
35	ტექ. დათვალიერების -ტირების ღ-ბა, სერთიფიკატი და სანომრო ხარჯი	16,672	8,323
36	საკონტინენტო ხარჯები საქვეანგარიშოდ	226,107	19,474
37	სამივლინებო ხარჯები	189	18,614
38	საექსპედიტორო ხარჯები	3,407,677	9,574,924
39	სხვა	5,693	6000
	ჯამი:	12,397,132	21,510,414

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

7. სხვა ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	კლიენტის მიერ დაუფარავი თანხა	1,635	
2	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	7,274	
3	ჯარიმა	307	
4	ფინანსური დახმარება	13,888	
5	დახმარება ორგანიზაციებს	24,598	
6	სხვა არასაგადასახადო ხარჯი	-	97,025
	ჯამი:	47,702	97,025

8. ფინანსური ხარჯი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ოვერდრაფტი "ვითიბი" ბანკიდან	27,281	27,647
3	ბანკის ხარჯები		
	ჯამი:	27,281	27,647

9. პერიოდის გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში	9,029,790	7,260,598
2	ცვლილება წინა პერიოდის შემოსავლებში და ხარჯებში	(1,134,999)	(1,778,142)
3	მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	(1,135,819)	3,547,334
	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	6,758,972	9,029,790

10. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	1,802,039	2,975,579
	ჯამი:	1,802,039	2,975,579

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	484,506	1,238,087
2	წინანსწარ გადახდილი თანხები მომწოდებლებზე	86,018	269,419
3	მოთხოვნები პერსონალთან	-	-
4	სხვა მოთხოვნები	-	591
	ჯამი:	570,524	1,508,097

ზემოთ აღნიშნული მუხლი მოიცავს მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა მომდევნო წელს იწურება. სავაჭრო მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საექვო მოთხოვნების გამოკლებით.

12. საგადასახადო მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	საშემოსავლო გადასახადი	-	-
2	დღგ	360,298	119
3	ქონების გადასახადი	-	-
4	მიწის გადასახადი	-	-
5	მოგების გადასახადი	-	311,557
	ჯამი:	360,298	311,677

13. მარაგი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	830,506	671,208
2	შეძენა	2,047,495	3,232,062
3	ხარჯად აღიარებული მარაგი	2,125,233	3,072,763
4	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	752,768	830,506

14. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

დასახელება	მიწა	შენიშვნები	ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება							
ნაშთი: 31.12.2016	5,981	564,670	191,773	219,727	87,904	3,984,367	5,280,986
აქტივების შეძენა	99,704	102,881	77,387	24,833	5,725	917,388	1,273,473
აქტივების გასვლა	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი: 31.12.2017	105,685	667,551	269,160	244,560	93,629	4,901,755	6,554,459
აქტივების შეძენა	500	50,539	4,660	9,196	2,934	562,666	658,136
აქტივების გასვლა	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი: 31.12.2018	106,185	718,090	273,820	253,756	96,563	5,464,421	7,212,595
აღიარებული ცვეთა							
ნაშთი: 31.12.2016	0	109,557	22,727	96,366	50,020	1,742,282	2,094,039
ცვეთის დარიცხვა	0	30,040	12,112	22,019	8,453	441,158	538,273
ცვეთის ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი: 31.12.2017	0	139,597	34,839	118,385	58,473	2,183,440	2,632,312
ცვეთის დარიცხვა	0	32,314	12,322	19,510	6,915	480,178	575,360
ცვეთის ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი: 31.12.2018	0	171,911	47,161	137,895	65,387	2,663,618	3,207,671
საბალანსო ღირებულება							
31-12-16	5,981	455,113	169,046	123,361	37,884	2,242,085	3,186,947
31-12-17	105,685	527,954	234,321	126,175	35,156	2,718,315	3,922,147
31-12-18	106,185	546,179	226,659	115,861	31,176	2,800,803	4,004,923

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

15. მსს ფასს-ის პირველად გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საწარმოს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს ფასს-ით მომხმარებელ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

წინა საანგარიშგები პერიოდებში ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრული ჰქონდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. მსს ფასს-ის პირველად გამოყენების დროს განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდება მანამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისაგან შესაბამისად, მსს ფასს-ის პირველად გამოყენებას არ გამოუწვევია ცვლილებები საწარმოს კაპიტალში და სრული შემოსავლების აგარიშგებაში მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დირექტორის მირ ხელმოწერილია და გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 22 სექტემბერს.

შპს „სოფმარ“



მმართველო ბიტი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ქ.ფოთი

2018 წელი

შინაარსი

1. დირექტორის მიმართვა
2. კომპანიის ისტორია
3. საქმიანობის მიმოხილვა
 - ა) საერთაშორისო გადაზიდვები;
 - ბ) გემების აგენტირება;
 - გ) საავტომობილო გადაზიდვები;
 - დ) სარკინიგზო გადაზიდვები;
 - ე) არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვა;
 - ვ) სანავსადგურო მომსახურება.
4. ტერმინები და დოკუმენტები
5. ტვირთის გაცემისა და გაფორმების წესები
6. მართვის სტრუქტურა
7. კონტეინერის ტიპები
8. საქმიანობის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
9. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა
10. ძირითადი რისკები

შპს „სოფმარ“-ის დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

პატივცემულო მეგობრებო,

წარმოგიდგენთ შპს „სოფმარ“-ის 2018 წლის ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად.

1991 წლიდან ვმუშაობთ საზღვაო – სახმელეთო გადაზიდვების სფეროში.

პროფესიონალიზმი, დაგროვილი გამოცდილება და საქმის სიყვარული უფლებას გვაძლევს გითხრათ, რომ ჩვენი პროფესიული საქმიანობა თქვენი ბიზნესის განვითარების განუყოფელი ნაწილი და თქვენი წარმატების თანამგზავრია.

შპს „სოფმარ“-ის განვითარების სტრატეგიაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომელთა კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის დონის ამაღლებას და რაც მთავარია, მომხმარებელთან ურთიერთობის კულტურის ამაღლებას. ამ მიზნით შპს „სოფმარის“ სპეციალისტებმა გაიარეს არაერთი ტრენინგი კლიენტის ეფექტური მომსახურების თემაზე.

ყველაზე ფასეული ჩვენს ორგანიზაციაში არის ადამიანი, პიროვნება.

მე მიხარია, რომ „სოფმარ“-ში კადრები მოდიან და ქმნიან „სოფმარ“-ის წარმატების ისტორიას.

შპს „სოფმარ“-ის სათავე ოფისი ფოთშია. წარმომადგენლობები – თბილისში, ბათუმსა და ერევანში – საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ ტვირთების მოძრაობას, ოპერატიულად მოგაწოდოთ ინფორმაცია და შემოგთავაზოთ სრულყოფილი მომსახურება.

ყოველი კლიენტი, ყოველი გადაზიდვა ჩვენთვის ინდივიდუალურია.

მიმაჩნია, რომ შპს „სოფმარი“-ს მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

პატივისცემით,

„სოფმარ“-ის დირექტორი

ვახტანგ ალანია

მ ი მ ა რ თ ვ ა

პატივცემულო მეგობრებო,

წარმოგიდგენთ შპს „სოფმარ“-ის 2018 წლის ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად.

1991 წლიდან ვმუშაობთ საზღვაო – სახმელეთო გადაზიდვების სფეროში.

პროფესიონალიზმი, დაგროვილი გამოცდილება და საქმის სიყვარული უფლებას გვაძლევს გითხრათ, რომ ჩვენი პროფესიული საქმიანობა თქვენი ბიზნესის განვითარების განუყოფელი ნაწილი და თქვენი წარმატების თანამგზავრია.

შპს „სოფმარ“-ის განვითარების სტრატეგიაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომელთა კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის დონის ამაღლებას და რაც მთავარია, მომხმარებელთან ურთიერთობის კულტურის ამაღლებას. ამ მიზნით შპს „სოფმარის“ სპეციალისტებმა გაიარეს არაერთი ტრენინგი კლიენტის ეფექტური მომსახურების თემაზე.

ყველაზე ფასეული ჩვენს ორგანიზაციაში არის ადამიანი, პიროვნება.

მე მიხარია, რომ „სოფმარ“-ში კადრები მოდიან და ქმნიან „სოფმარ“-ის წარმატების ისტორიას.

შპს „სოფმარ“-ის სათავეს ოფისი ფოთშია. წარმომადგენლობები – თბილისში, ბათუმსა და ერევანში – საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ ტვირთების მოძრაობას, ოპერატიულად მოგაწოდოთ ინფორმაცია და შემოგთავაზოთ სრულყოფილი მომსახურება.

ყოველი კლიენტი, ყოველი გადაზიდვა ჩვენთვის ინდივიდუალურია.

მიმაჩნია, რომ შპს „სოფმარი“-ს მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

პატივისცემით,

„სოფმარ“-ის დირექტორი

ვახტანგ ალანია



2. კომპანიის ისტორია

“სოფმარის“ ისტორია დაიწყო მაშინ, როცა დაიშალა საბჭოთა იმპერია, და ირღვეოდა ძველი და ნაცნობი სამყარო, ეკონომიკის განმსაზღვრელი გახდა კონკურენცია და კერძო საკუთრება.

გარდამავალი ეპოქის ამ რთულ პერიოდში 1991 წელს ფოთში შეიქმნა „სოფმარი“, პირველი კერძო, დამოუკიდებელი საზღვაო სააგენტო. საზღვაო სააგენტო „სოფმარმა“ საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების და ექსპედიციების სფეროში დაიმკვიდრა ადგილი და განვითარდა შემდეგი მიმართულებით: საზღვაო-სახმელეთო გადაზიდვები; საკონტეინერო გადაზიდვები მთელ მსოფლიოში; საავტომობილო გადაზიდვები ევროპისა და ამიერკავკასიის სივრცეში; სარკინიგზო გადაზიდვები, არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვა; საბაჟო გაფორმება, სანავსადგურო მომსახურება; გემების აგენტობა.

ჩვენი ბიზნესი ვითარდება მაღალი პროფესიონალიზმის, მრავალწლიანი გამოცდილების, საქმისადმი ერთგულების, დაცული და დაზღვეული პასუხისმგებლობის საფუძველზე.

უკვე 20 წელია „სოფმარი“ ემსახურება კლიენტებს. ეს ურთიერთობები გაფართოვდა და გადაიზარდა პარტნიორულ-მეგობრულ ურთიერთობებში.

ჩვენი თანამშრომლობა ეფუძნება ნდობის, პასუხისმგებლობის და პატივისცემის პრინციპებს.

ჩვენ ვართ საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაციის (AFG) და ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, როგორებიცაა: BIMCO (ბალტიის საერთაშორისო საზღვაო საბჭო), FIATA (სატვირთო გადამზიდების საერთაშორისო ფედერაცია), INTERTANKO (ტანკერთა გემთფლობელების დამოუკიდებელი საერთაშორისო ასოციაცია)

დღეს საზღვაო სააგენტო „სოფმარ“-ი სთავაზობს კლიენტს მომსახურების სრულ კომპლექტს ყველა მიმართულებით, ზღვით თუ ხმელეთზე, იქნება ეს საკონტეინერო, სარკინიგზო თუ საავტომობილო გადაზიდვები.



3. საქმიანობის მიმოხილვა

ა) საერთაშორისო გადაზიდვები

ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში „სოფმარი“ გთავაზობთ საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვების მომსახურების სრულ პაკეტს. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საკონტეინერო საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები.

დღეს საზღვაო გადაზიდვები შეადგენს მულტიმოდალური გადაზიდვების ნაწილს, საავტომობილო თუ სარკინიგზო ტრანსპორტის მონაწილეობით და ჩართვით. ხშირად საზღვაო საკონტეინერო გადაზიდვების სისწრაფე დამოკიდებულია ამინდის პირობებზე, რასაც კლიენტის უკმაყოფილება გამოიწვევია. ცხადია, „სოფმარს“ არ შეუძლია ამინდის შეცვლა და შტორმის აცილება, მაგრამ ჩვენი კომპანია ახორციელებს საკონტეინერო გადაზიდვებს ზღვით ნებისმიერი ქვეყნიდან, მსოფლიოს წამყვანი ნავსადგურების მეშვეობით და თანამშრომლობით, აკონტროლებს და დროულად გაწვდით ინფორმაციას თქვენი ტვირთის ადგილმდებარეობის შესახებ.

ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების თანახმად, ჩვენი ექსპედიტორები უზრუნველყოფენ მარშრუტის პროფესიულ დაგეგმარებას და საზღვაო გადაზიდვის ყოველი ეტაპის ორგანიზებას.

ჩვენ გამოიმუშავებული გვაქვს მულტიმოდალური ტრანსპორტირების ოპტიმალური, ნაცადი სქემები და გთავაზობთ საუკეთესო ტარიფებს.

ჩვენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები ვართ, როგორებიცაა: BIMCO, SEA, FIATA, INTERTANKO, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.



შპს „სოფმარი“ გთავაზობთ:

- მულტიმოდალური გადაზიდვის სრულ კომპლექტს „კარებიდან კარებამდე“;
- თქვენ ირჩევთ მომსახურების ან სრულ კომპლექტს, ან რომელიმე ერთ მიმართულებას-საავტომობილო, სარკინიგზო ან შიდასანავსადგურო ექსპედიტორებას;
- ჩვენ გვაქვს სპეც.პირობები და სპეც.ფასები მუდმივი კლიენტებისა და ტვირთნაკადისათვის;
- ყოველი გადაზიდვა ინდივიდუალურია და სხვადასხვა ტვირთის გადმოსაზიდად ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა ტრანსპორტს, მაგრამ მიდგომა და მუშაობის პრინციპები უცვლელია: კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი, სწრაფი და საიმედო სატვირთო გადაზიდვები;
- ჩვენთვის ძვირფასია ყოველი ტვირთი;
- ყოველი ჩვენი კლიენტი ერთადერთი და განუმეორებელია.

ბ) გემების აგენტირება

1991 წელს საზღვაო სააგენტო „სოფმარმა“ დაიწყო საქმიანობა გემების აგენტირებით, რითაც საქართველოში სათავე დაუდო საზღვაო ტვირთების მომსახურების კერძო პრაქტიკას. ამჟამად, ჩვენ ვემსახურებით გემებს ფოთის, ბათუმის და ყულევის პორტებში.

„სოფმარი“, როგორც აგენტი მოქმედებს გემთფლობელის დაკვეთით და მისი სახელით.



ჩვენ, გემთფლობელის სახელით ვაწარმოებთ:

- გემის და სატვირთო დოკუმენტების გაფორმებას;
- საპორტო მოსაკრებლის, ბაჟისა და ჯარიმების გადახდას;
- ტვირთის მიღება-ჩაბარებას;
- სატვირთო ოპერაციების ორგანიზებას;
- გემის წყლით, საწვავით, საკვებით მომარაგებას;
- საჭიროების შემთხვევაში გემის ტექ. დახმარების ორგანიზებას;
- გემების უზრუნველყოფას ნავმისადგომებით, ბუქსირებით, ლოცმანით.

გ) საავტომობილო გადაზიდვები

შპს „სოფმარი“ ახორციელებს ავტოგადაზიდვებს როგორც ქვეყნის გარეთ, ევროპის ნებისმიერ ქვეყნიდან, დსთ ქვეყნებში და ამიერკავკასიაში, ასევე შიდაგადაზიდვებს საქართველოში.

შპს „სოფმარი“ ვთავაზობთ მომსახურებების შემდეგ სახეობებს:

1. მთლიანი ტვირთების გადაზიდვა კარიდან კარამდე;
2. შერეული ტვირთების გადაზიდვა;
3. (კონსოლიდაცია, შენახვა, საბაჟო გაფორმება, ექსპორტის დეკლარაცია ,TIR, CMR);
4. საწყობების მომსახურება ევროპის შემდეგ ქვეყნებში : გერმანია, პოლონეთი, იტალია, ბულგარეთი, თურქეთი, უკრაინა;
5. ჩვენს პარტნიორებს ვთავაზობთ მომსახურების გაწევას შემდეგი სატრანსპორტო საშუალებებით; ევროფურები (სტანდარტული ტენტი, მეგა , ჯუმბო), რეფ – მაცივრები , თერმოკინგები;
6. საშიში ტვირთების გადაზიდვა (ADR, IMO);
7. არაგაბირიტიული ტვირთების გადაზიდვა (გაცილების ორგანიზება, ნებართვების აღება) ევროპის ნებისმიერი ქვეყნიდან და კავკასიის შიგნით;
8. ჩვენს მიერ მოწოდებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას გააჩნია დაზღვევის CMR პოლისი, მიუხედავად ამისა, ჩვენ დაზღვეული გვაქვს გადამზიდვის და ექსპედიტორის პასუხისმგებლობაც!;

9. ჩვენი თანამშრომლები უმოკლეს ვადაში ოპტიმალური ფასისა და ტვირთის მოწოდების გონივრული ვადის გაანგარიშებით წარმოგიდგენენ გადაზიდვის საუკეთესო სქემას და მარშრუტს, დაგეხმარებიან ტვირთის საბაჟო გაფორმებაში, მისი შენახვის, დაზღვევის ან სერტიფიკაციის პროცედურებში.



სოფმარ“-ს საკუთარი ავტოპარკი ყავს დაკომპლექტებული ინტერნაციონალის, ფრეიტლაინერის, პიტერბილტის და სხვა მარკის ამერიკული და ევროპული მძიმეწონიანი ავტომობილებით, რომელთა ტექნიკურ გამართულობას და სამუშაო მზადყოფნას უზრუნველყოფენ „სოფმარის“ ტერმინალის ტექნიკური ჯგუფის ინჟინრები და ხელოსნები. მანქანები გადიან როგორც აუცილებელ, ყოველდღიურ შემოწმებას რეისის წინ, ასევე ყოველთვიურ გეგმიურ შემოწმებას. ასეთი მიდგომა ჩვენი წარმატების და თქვენი სიმშვიდის საწინდარია.

დ) სარკინიგზო გადაზიდვები

სარკინიგზო გადაზიდვები საუკეთესო გადაწყვეტილებაა, როცა განსაკუთრებით დიდი მოცულობის ტვირთები უნდა გადაიზიდოს შორ მანძილებზე.



რკინიგზით მოსახერხებელია როგორც სტანდარტული, ასევე არაგაბარიტული და სახიფათო ტვირთების გადაზიდვა. “სოფმარი“ გთავაზობთ სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურების სრულ კომპლექსს:

1. ტვირთების სარკინიგზო საკონტეინერო გადაზიდვები;
2. სარკინიგზო გადაზიდვები ვაგონებით.

სარკინიგზო გადაზიდვებისათვის ძირითადად გამოიყენება შემდეგი ტიპის კონტეინერები:

- 20 ფუთიანი სტანდარტული;
- 20 ფუთიანი Heavy Test;
- 20 ფუთიანი Open Top(ღია/ტენტიანი);
- 40 ფუთიანი სტანდარტული;
- 40 ფუთიანი High Cube;
- 40 ფუთიანი Open Top(ღია/ტენტიანი).

კონტეინერი შეირჩევა იმ ტვირთის მიხედვით, რომლის ტრანსპორტირებაა საჭირო. ასევე, ტვირთების გადაზიდვა შეიძლება პლატფორმებით. პლატფორმებს ძირითადად იყენებენ ტექნიკის ტრანსპორტირებისათვის.

ნაყარი ტვირთებისათვის იყენებენ სპეც.ვაგონებს – ჰოპერებს, თხევადი ტვირთებისათვის სპეც. ვაგონებს – ცისტერნებს. ჩვეულებრივი ტვირთებისათვის კი ღია, ნახევარ ვაგონებს.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზია, უკრაინა.

ე) არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვა

ჩვენ მიერ ორგანიზებული გადაზიდვები სწორად და პროფესიულად გათვლილ სქემებს ეფუძნება, რაც გვამძლევს შესაძლებლობას უდანაკლისოდ, დროულად მივაწოდოთ ტვირთი დანიშნულების ადგილამდე, არამარტო დავადგინოთ, არამედ შევინარჩუნოთ კლიენტისათვის მისაღები, საუკეთესო ფასები.

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია გადაზიდვა „FRIGOL“ რეჟიმში (კონტროლირებადი ტემპერატურა) ტვირთის გადახურების ან გადაცივების თავიდან ასაცილებლად.



ჩვენ ვამუშავებთ ნებისმიერი ტონაჟის და მოცულობის არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვას და ამისთვის საჭიროების მიხედვით ვიყენებთ როგორც საზღვაო, ისე

საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვების სრულ კომპლექტს ამიერკავკასიიდან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილამდე, და პირიქით, მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან ამიერკავკასიაში.

ამ თვალსაზრისით ჩვენ დაგვიგროვდა დიდი გამოცდილება. შეგვისრულებია ტექნიკურად რთული გადაზიდვები, რომელთა გათვლა და ორგანიზება მოითხოვდა, როგორც მაღალ პროფესიონალიზმს, ისე მოხერხებულობის და გააზრების ახალ უნარებს.

ჩვენ კლიენტების მოლოდინი გაგვიმართლებია სრულად.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ თითქმის არ არსებობს „სოფმარ“-ის თანამშრომლებისათვის დაუძლეველი სირთულე.

ვ) სანავსადგურო მომსახურება



შპს „სოფმარ“-ის სანავსადგურო მომსახურებაში შედის:

- ტვირთის მიღება პორტში საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის მეშვეობით;
- სატვირთო ოპერაციები პირდაპირი ვარიანტით ან საწყობიდან;
- ტვირთსამაგრი სამუშაოები;
- აუცილებელი საბაჟო, ვეტერინარული, საკარანტინო ფორმალობები;

სანავსადგურო მომსახურებისათვის შპს „სოფმარ“-ი ასრულებს შემდეგ სამუშაოებს:

1. სატვირთო ოპერაციების სატალმანო აღრიცხვა
2. კლიენტს ან მის წარმომადგენელს წარვუდგენთ ყოველდღიურ ანგარიშს ტვირთის რაოდენობრივი მონაცემების და წონის შესახებ, ასევე, ტვირთის მდგომარეობის მოკლე აღწერილობას
3. სატვირთო ოპერაციების დასრულების მერე წარვადგენთ დაცლილი/ჩატვირთული ტვირთის სიას, დეფექტის უწყებას (Damage Report), სატალმანო რაპორტს, სიურვეირის რაპორტს, ციფრულ ფოტოებს CD დისკზე ან ვაგზავნით ფოტოებს ელ.ფოსტის მეშვეობით.

4. ტერმინები და დოკუმენტები

გადაზიდვას ახორციელებს გადამზიდავი, ტვირთის გადაზიდვის ორგანიზებას კი – ექსპედიტორი.

გადაზიდვისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტი: სატვირთო მანქანა, გემი, რკინიგზა. ამიტომაც ერთიანი გადამზიდავი არ არსებობს.

აქედან გამომდინარე, უფრო მომგებიანია თქვენი ტვირთის ჩამოტანა შეუკვეთოთ ექსპედიტორს.

ტვირთის მიღება შესაძლებელია კონოსამენტის წარდგენის ან რელიზის თანახმად.

კონოსამენტი (Bill of Lading) – საზღვაო ზედდებული, საზღვაო გადაზიდვის ძირითადი დოკუმენტია.

კონოსამენტი (Bill of Lading) ასრულებს შემდეგ მნიშვნელოვან ფუნქციებს:

საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება;

ხელწერილი ტვირთის მიღებაზე;

ტვირთგანმკარგველი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, ვინ არის ტვირთის მიმღები: პირდაპირი მიმღები (კონოსამენტში მითითებულია პირდაპირი მიმღები-ორგანიზაცია ან პირდაპირი მიმღების სახელი, გვარი);

წარმომდგენზე (კონოსამენტში არ არის მითითებული პირდაპირი მიმღები, კონოსამენტში წერია – to order ,წარმომდგენზე);

განმკარგველი (to order of – პირის და ორგანიზაციის განკარგვით).

რელიზი – თანხმობა ტვირთის გაცემაზე კონოსამენტის ორიგინალის წარმოდგენის გარეშე, ტვირთის გამომგზავნის პირდაპირი მითითებით

ფრახტი – ეს არის საზღვაო გზით გადაზიდვის ღირებულება ,ნავსადგურებში ჩატვირთვა-გადმოტვირთვის საფასურის გარეშე

THC -ეს არის გემიდან ან გემზე კონტეინერის დატვირთვის ან ჩამოცლის საპორტო-სატერმინალო ხარჯები , რომლებშიც შედის საბაჟო საწყობში მიწოდების ხარჯებიც.



5. ტვირთის გაცემის და გაფორმების წესები

ტვირთის გაცემის წესი

ტვირთის მიმღები ვალდებულია წარმოადგინოს გადამზიდავთან ან აგენტთან შემდეგი დოკუმენტები:

1. კონოსამენტის(Bill of Lading) ორიგინალი ,როგორც ხელწერილი (მიმღები ხელს აწერს კონოსამენტზე, რითაც ადასტურებს ტვირთის მიღებას-ინდოსირება);
2. პასპორტი, იმ შემთხვევაში თუ მიმღები ფიზიკური პირია;
3. მინდობილობა, თუ მიმღები იურიდიული პირია.



ტრანზიტული ტვირთის გაფორმება

დამკვეთი ვალდებულია წარმოადგინოს გადამზიდავთან ან აგენტთან შემდეგი დოკუმენტები:


1. კონოსამენტი (Bill of Lading) ორიგინალი ან რელიზი;
2. ინვოისი (ანგარიში) ასლი;
3. წერილობითი განკარგულება ან გადამზიდავთან დადებული ხელშეკრულება გადაზიდვაზე, სადაც აღნიშნულია ტვირთის საბოლოო დანიშნულება.

6. მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.



7. კონტერინერის ტიპები



20-ფუთიანი სტანდარტული კონტეინერი



40-ფუთიანი სტანდარტული კონტეინერი



40-ფუთიანი high cube კონტეინერი

(გაფართოებული მოცულობა)



45-ფუთიანი high cube (გაფართოებული მოცულობა)



20-ფუთიანი რეფრიჟერატორული კონტეინერი




40-ფუტიანი რეფრიჟერატორული კონტეინერი



40-ფუტიანი high cube რეფრიჟერატორული კონტეინერი
(გაფართოებული მოცულობის)



20-ფუტიანი იზოლირებული კონტეინერები



20-ფუტიანი კონტეინერი ვენტილაციით



20-ფუთიანი ღია კონტეინერი open top



40-ფუთიანი ღია კონტეინერი open top



20-ფუთიანი flatrack კონტეინერი



40-ფუთიანი flatrack კონტეინერი




ტანკ -კონტეინერი

8. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები


1. შემოსავლების დინამიკა 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით

2015 წელი	30 888 216
2016 წელი	28 058 279
2017 წელი	31 534 686
2018 წელი	15 908 425



1. შემოსავლების დინამიკა 2018 წლის ძირითადი საქმიანობის მიხედვით

	დასახელება	2018
1	შემოსავალი კონტეინერების გადაზიდვებიდან	9,439,864
2	შემოსავალი აგენტირებიდან	686,071
3	შემოსავალი ექსპედიტორებიდან	5,083,646
4	შემოსავალი მანქანების გადაზიდვებიდან	13,576
5	შემოსავალი ელ. დიაგნოსტიკა-ტერმინალიდან	23,246
6	შემოსავალი იჯარიდან	1,862
7	შემოსავალი რეალიზაციიდან	79,785



9. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად შპს “სოფმარი“ ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- ავტომატური ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ.

10. ძირითადი რისკები

საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს ჩვენს საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ავტომატური დაზღვევას:

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
- პასუხისმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.



ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია

პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა მონიტორინგი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.